

ჩარჩო გეგმა,  
ლაბა ბაჟურიანში



ქალაქგეგმვალოებითი ავლაჳა და ვროაქტის  
განვითარების ხელჳა ღაბა ბაჟურიანის გენგეგმის  
თამაბური სავროაქტო არაალი №17-ის ჩარჩო გეგ-  
მის შათანხეაბისთჳის

**დაბა ბაკურიანში, ჩარჩო გეგმის  
შემუშავებისათვის  
წინასაპროექტო კვლევა და პროექტის განვითარების ხედვა**  
ტექსტური ნაწილი

**1. შესავალი**

- დაბა ბაკურიანის ისტორიული მიმოხილვა.

**2. მდებარეობა და რეგიონალური კონტექსტი**

**3. ჩარჩო გეგმის საპროექტო არეალის ადგილმდებარეობა და შეფასება**

**4. ტოპოგოდეზიური რუკა და ორთოფოტო სურათი**

**5. კლიმატი/მზის გამოსხივების ანალიზი**

**6. ზოგადგეოლოგიური და სეისმური მონაცემები**

**7. არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები**

**8. არსებული ეკოლოგიური მონაცემები**

**9. კულტურული მემკვიდრეობა**

**10. ინფრასტრუქტურის ანალიზი**

- არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ანალიზი;
- არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა;

**11. საკუთრების ანალიზი**


**12. დოკუმენტური კვლევა**

- არსებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების ანალიზი.
- სამართლებრივი აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მონაცემები.

**13. პროექტის განვითარების ხედვა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება**

# 1. შესავალი

## დაბა ბაკურიანის ისტორიული მიმოხილვა



ბაკურიანი — დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი, თორი) XIX საუკუნეში, ბორჯომის მინერალური წყალი, თავისი უნიკალური სამკურნალო თვისებების გამო ყურადღების ცენტრში მოექცა, რამაც ბორჯომის ხეობის მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია. 1871 წელს ბორჯომის ხეობა რუსეთის მეფე ალექსანდრე II თავის ძმას, მიხაილ რომანოვს უბოძა, რომლის მმართველობის დროს ხეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ხეობაში მოიხილდეს ინვესტიციები, აშენდა მინერალური წყლის ჩამოსასხმელი საწარმო, დასასვენებელი სახლები და რკინიგზა, რომანოვის მმართველობის დროს (1898-1901) გაიყვანეს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზაც.

სწორედ ის, „გუგული („კუკუშკა“) მატარებლის“ სახელით ცნობილი რკინიგზა, ბაკურიანის ახალი ცხოვრების დასაწყისის ძირითადი მიზეზი ხდება.

ბაკურიანში რკინიგზის არსებობამ, 1902-1910 წლებში, კოხტაგორის ფერდზე, როლოვისა და ფომინის ხელმძღვანელობით, მაღალმთის ბოტანიკური ბაღის შენება გააადვილა. ბოტანიკური ბაღის შენება და მისი სტუმართმოყვარე ხელმძღვანელი კოზლოვსკი აქ ჩამოსული დამწყები მოთხილამურეების ხელშემწყობნი ხდებიან.

ევროპაში სათხილამურო სპორტის ბუმი იყო და საქართველოში ახალჩამოსული გიორგი ნიკოლაძე, თავის მეგობრებთან ერთად სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციაზე ოცნებას იწყებს. იგი პირველია, რომელსაც ბაკურიანში პირველი ქართველი მოთხილამურეები ჩამოჰყავს.

1934 წელს პტეს-მა (პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება) იჯარით აიღო შემდეგომში ბავშვთა სანატორიუმის შენობა და იქ სამთო-სათხილამურო სკოლა და ზამთრის ფიზკულტურის სახლი დააარსა.

1935 წელი ბაკურიანის, როგორც სათხილამურო ცენტრის, დაბადების წელია. იანვრის დასაწყისში აქ უკვე ხალხმრავლობაა. ჩამოვიდნენ ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის (შემდგომში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო დღეს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) სტუდენტები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ინსტიტუტის სათხილამურო სექციაში. ინსტიტუტის თავკაცის, ბოჯგუას ხელშეწყობით, სტუდენტების საწრთვინელი შეკრებები ბაკურიანში ტრადიციად ქცეულა. ამ პერიოდში ბაკურიანში ჩამოდიან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარგზავნილებიც.

1935 წლის 6 იანვარს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სამთო-სათხილამურო სკოლა და ფიზკულტურის სახლი. ეს მოვლენა იმდროინდელმა პრესამ ვრცლად გააშუქა. შკოლისა და სახლის უფროსი გოგი ბაქრაძე გახდა. ამავე წელს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ნაკრებიც შემდეგი შემადგენლობით: მაყაშვილი, გელაძე, მიქაბერიძე, კოსმაჩევსკი, ფურცელაძე, გვალია, მოლოვიჩკო, ბოიკო, სმირნოვი, სელეზნიოვა. რუსი მოთხილამურეები ბაკურიანის ჰავითა და მრავალფეროვნებით მოიხიბლნენ. მათ ბაკურიანს “საბჭოთა

სათხილამურო სპორტის დედაქალაქი” შეარქვეს. ამავე პერიოდის პრესაში უწოდეს მას “საბჭოთა დავოსიცი”. 1950 წელს აქ აშენდა ჯერ 45, ხოლო შემდეგ – 75 მეტრიანი ტრამპლინი, რამაც უფრო მოიზიდა სათხილამურო სპორტის მოყვარულები.

1954 წელს ბაკურიანში დაიდგა საბჭოთა კავშირში პირველი საბუქსირო გზა. დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებელია, მაგრამ ამ წლამდე კოხტაგორის წვერზე მოთხილამურენი ფეხით ადიოდნენ და ტრასასაც ფეხით ტკეპნიდნენ.

1960 წელს დასრულდა ბაკურიანის ელექტრიფიკაცია.

90-იანი წლების დასაწყისში ბაკურიანი ცარიელდება, ქვეყანაში არსებული რეალობით (სამოქალაქო ომები, ეთნოკონფლიქტები) სარგებლობენ მავანნი და წლების მანძილზე თაობების მიერ შექმნილი ოცნება თუ რეალობა – ტურბაზები, დასასვენებელი სახლები, საბუქსირო და საბაგრო გზები და ა.შ.) ნადგურდება, ბაკურიანი დიდ კრიზისს განიცდის.

დღესდღეობით ბაკურიანი მეორედ იზადება: შენდება ახალი სასტუმროები, საბაგრო გზები, სათხილამურო ტრასები, იქმნება ახალი, ოცნების პროექტები.

## 2. მდებარეობა და რეგიონალური კონტექსტი

ბაკურიანი ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე (5.576 ფუტზე) მდებარეობს. თბილისსა და ბაკურიანს შორის მანძილი 180კმ-ია (111.847 მილი), ხოლო ბორჯომიდან ის მხოლოდ 30კმ-შია (18.6411 მილი).

ავტომანქანით:

თბილისი - ბაკურიანი 180კმ. მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობა - 2.5 სთ.

ბათუმი - ბაკურიანი 295კმ. მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობა - 4.5 სთ.

ქუთაისი - ბაკურიანი 155კმ. მგზავრობის სავარაუდო ხანგრძლივობა - 2.5 სთ

თვითმფრინავით:

აეროპორტებიდან ბაკურიანამდე მანძილი:

ქ. თბილისიდან - 190კმ.

ქ. ბათუმიდან - 300კმ.


ქ. ქუთაისიდან - 160კმ.

ქ. ტრაპზონიდან (თურქეთი) – 500კმ.

ქ. ბაქოდან (აზერბაიჯანი) – 750კმ.

ქ. ერევნიდან (სომხეთი) – 270კმ.

ქ. ვლადიკავკაზიდან (რუსეთი) – 350კმ.



### 3. ჩარჩო გეგმის საპროექტო არეალის ადგილმდებარეობა და შეფასება

საქართველოს მთავრობის დადგენილების N 117-ის მეხედვით (2018 წლის 6 მარტი ბაკურიანის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე) განისაზღვრა არეალები სადაც განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტირებამდე უნდა დამუშავდეს თემატური რუკები ( ჩარჩო გეგმები) წარმოდგენილი პროექტი არის აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე #17 ტერიტორია, რომლის ფართობიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არის 67 337 კვ.მ, თუმცა კველვის და ხედვის შედეგად ტერიტორიის ფართობი მცირედით გაიზარდა, შეიცვალა კონფიგურაცია გახდა **67643 კვ.მ.**

აქედან : დარეგისტრირებული კერძო მიწის ნაკვეთების ფართობი 46 613 კვ.მ.ია, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობია 2210, ხოლო დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობია 18 820 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ტყის მასივი, რომელიც ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას წარმოადგენს. ჩარჩო გეგმის არეალს სამხრეთ-დასავლეთით მიუყვება ხევი. საპროექტი ტერიტორიიდან სამხრეთით მიმავალი გზა უერთდება ბაკურიანის, მთავარ, წრიულ გზას. ტერიტორიას სამხრეთით საკურორტო რეკრეაციული ზონა ესაზღვრება.

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 1 (სრზ-1).

ამ ეტაპზე საპროექტო არეალში გვხვდება ოთხი საცხოვრებელი ტიპის შენობა.

ჩარჩო გეგმის არეალში მოქცეული ნაკვეთების უმეტესობა კერძო საკუთრებაშია (ფიზიკური პირი), ერთი ნაკვეთი სახელმწიფოა და ერთიც კერძო საკუთრებაშია (იურიდიული პირი).

ამჟამინდელი მდგომარეობით საპროექტო არეალში მოქცეული გზები და დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთები არეალის 31%-ს, ხოლო დარეგისტრირებული კერძო მიწის ნაკვეთები არეალის 69%-ს. შეადგენს.

### 4. ტოპოგოდეზიური რუკა და ორთოფოტო სურათი

დაბა ბაკურიანი მდებარეობს ვულკანურ პლატოზე, ზღვის დონიდან 1650\_1750 მეტრის სიმაღლეზე, მდ. ბაკურიანისწყლის ( ბაკურიანულას ) გაშლილ ხეობაში. მისი რელიეფის ხასიათი განპირობებული იყო ვულკანური აქტიურობით. დაბა ბაკურიანის სიახლოვეს გადის მიწის ქერქის ვულკანური წყვეტილი ხაზი ტაბაწყურის ტბასთან მდებარე თავკვეთილის ძველი ვულკანიდან (2582 მ), თრიალეთისა და გორის დაბლობების გავლით ყაზბეგის ვულკანამდე. სამხრეთის მიმართულებით ეს ხაზი არარატის ძველ ვულკანამდე აღწევს. ამ ხაზის დასავლეთით არსებობს მეორე ნაპრალი, რომელიც არსიანის ყოფილი ვულკანიდან იალბუზამდე მიემართება. ამ ორ ნაპრალს შორის არსებული სივრცე წარმოადგენს მნიშვნელოვან ვულკანურ ზონას. ბაკურიანის შემომფარგლავი მთების საშუალო სიმაღლე \_ 2500 მეტრია ზღვის დონიდან; მათი ჩრდილო კალთები უფრო დამრეცია, ვიდრე სამხრეთისა. ამ ადგილების რელიეფის წარმოშობას მკვლევარები უკავშირებენ ძველი ვულკანების ამონთხევასთან, რის შედეგად ვულკანურმა ლავამ ჩამოაყალიბა ახლანდელი რელიეფი. ძველი ხეობების ნაცვლად შეიქმნა წყლის ახალი კალაპოტები და, მათი ლავით გადაკეტვის ადგილებში - ტბები. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტბის ფსკერს დღეს წარმოადგენს ბაკურიანის ტაფობი. უკანასკნელ ვულკანურ ამონთხევამდე, არსებობდა ძველი მდინარე, რომელიც სათავეს იღებდა თრიალეთის ქედიდან , ბაკურიანსა და ციხისჯვარს შორის. ამოფრქვევის მთავარი ადგილი მდებარეობდა ბაკურიანიდან სამხრეთ დასავლეთით, 1 კმ დაშორებით, ახლანდელი დაბის პარკის ზემოთ. ამ ვულკანის კონუსი და კრატერის ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. ძირითადი ლავის ნაკადი წარმოშობილი იყო კრატერით, რომელიც მოქმედებდა დღევანდელი ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე. ამ ვულკანის კონუსი ამაღლებულია 125 მეტრით, მისი დიამეტრი 200 მეტრს აღწევს, სიღრმე - 50 მეტრს. შემორჩენილია კრატერის სამი მხარე.

საპროექტო ტერიტორიები და მიმდებარე არეალი მდებარეობს ზღვის დონიდან საშუალოდ 1682-1761 მ. ფარგლებში.



## 5. კლიმატური პირობები, მზის გამოსხივების ანალიზი

ბაკურიანის ჰავა ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურისკენ გარდამავალია. ზამთარი ცივია და თოვლიანი; ზაფხული - ხანგრძლივი. საშუალო წლიური ტემპერატურა 4,30 °C; იანვრისა -7,20 °C, აგვისტოსი აგვისტოსი +15 °C -მდე; ნალექების რაოდენობა 734 მმ წელიწადში, ნალექიანი დღეების რაოდენობა წელიწადში - 145 მდე. თოვლის საფარი (64 სმ) დევს დეკემბრის დასაწყისიდან მარტის ბოლომდე. გაბატონებული ქარები სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებისაა. ძირითადი სამკურნალო ფაქტორებია: მთის ჰავა, მზის ხანგრძლივი ნათება (2,052 სთ წელიწადში) და ულტრაიისფერი სხივების მაღალი რადიაცია. სამედიცინო ჩვენებები: ლიმფადენიტი, სასუნთქ ორგანოთა ქრონიკული არატუბერკულოზური დაავადებანი, სისხლნაკლებობა.

- ზოგადკლიმატური (ზუნებრივი ნალექების, ქარის, მზის გამოსხივების) მონაცემები;

კუნძულების კოორდინატები, ბარომეტრული წნევა

| № | პუნქტების დასახელება | კოორდინატები                            |   |                           | ბარომეტრული წნევა (ჰა) |
|---|----------------------|---|---|---------------------------|------------------------|
|   |                      | გეოგრაფიული განკედი (გრადუსი და მინუტი) | გეოგრაფიული გრძედის (გრადუსი და მინუტი) | სიმაღლე ზღვის დონიდან (მ) |                        |
| 1 | 2                    | 3                                       | 4                                       | 5                         | 6                      |
|   | ბაკურიანი.აგრო       | 41°44'                                  | 43°31'                                  | 1703                      | 815                    |


საშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

ცხრილი 2

| კლიმატური რაიონები | კლიმატური ქვერაიონები | იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C | ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ | ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C | ივლისის ფარდობითი ტენიანობა, % |
|--------------------|-----------------------|---------------------------------|---|---------------------------------|--------------------------------|
| 1                  | 2                     | 3                               | 4   | 5                               | 6                              |
| I                  | Iა                    | -4-დან -14-მდე                  | 5 და მეტი                                 | +5-დან +12-მდე                  | 75 მეტი                        |
|                    | Iბ                    | -3-დან -5-მდე                   | 5 და მეტი                                 | +12-დან +21-მდე                 | 75 მეტი                        |
|                    | Iგ                    | -4-დან -14-მდე                  | -   | +12-დან +21-მდე                 | -                              |
|                    | Iდ                    | -5-დან -14-მდე                  | 5 და მეტი                                 | +12-დან +21-მდე                 | 75 მეტი                        |
| II                 | IIა                   | -14-დან -20-მდე                 | -   | +21-დან +25-მდე                 | -                              |
|                    | IIბ                   | -5-დან -2-მდე                   | -   | +21-დან +25-მდე                 | -                              |
|                    | IIგ                   | -5-დან -14-მდე                  | -   | +21-დან +25-მდე                 | -                              |
| III                | IIIა                  | -10-დან +2-მდე                  | -   | +28 და მეტი                     | -                              |
|                    | IIIბ                  | +2-დან +6-მდე                   | -   | +22-დან +28-მდე                 | 50 და მეტი 13ს                 |
|                    | IIIგ                  | 0-დან +2-მდე                    | -   | +25-დან +28-მდე                 | -                              |
|                    | IIIდ                  | -15-დან 0-მდე                   | -   | +25-დან +28-მდე                 | -                              |

საქართველოს ტერიტორიის საშენებლო კლიმატური დარაიონება

რუკა - სქემა № 1



საქართველოს ტერიტორიის საშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით დაბა ბაკურიანი მდებარეობს I გ არეალში.

**მზის გამოსხივების ანალიზი:**

კორიონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი S და ჯამური რადიაცია Q, კვტ-ს/მ<sup>2</sup> თვეში

| № | პუნქტების დასახელება | იანვარი |    | აპრილი |     | ივლისი |     | ოქტომბერი |     |
|---|----------------------|---------|----|--------|-----|--------|-----|-----------|-----|
|   |                      | S       | Q  | S      | Q   | S      | Q   | S         | Q   |
| 1 | 2                    | 3       | 4  | 5      | 6   | 7      | 8   | 9         | 10  |
|   | ბაკურიანი, აგრო      | 23      | 64 | 68     | 156 | 103    | 199 | 58        | 104 |

მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაცია კორიონტალურ და α კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ-ს/მ<sup>2</sup> დღეში

ცხრილი 5

| № | პუნქტების დასახელება | პირდაპირი რადიაცია S |       |        |       |        |       |           |       | ჯამური რადიაცია Q |       |        |       |        |       |           |       |
|---|----------------------|----------------------|-------|--------|-------|--------|-------|-----------|-------|-------------------|-------|--------|-------|--------|-------|-----------|-------|
|   |                      | იანვარი              |       | აპრილი |       | ივლისი |       | ოქტომბერი |       | იანვარი           |       | აპრილი |       | ივლისი |       | ოქტომბერი |       |
|   |                      | პ.ზ.                 | α=65° | პ.ზ.   | α=30° | პ.ზ.   | α=10° | პ.ზ.      | α=50° | პ.ზ.              | α=65° | პ.ზ.   | α=30° | პ.ზ.   | α=10° | პ.ზ.      | α=50° |
| 1 | 2                    | 3                    | 4     | 5      | 6     | 7      | 8     | 9         | 10    | 11                | 12    | 13     | 14    | 15     | 16    | 17        | 18    |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | 0,7                  | 1,7   | 2,3    | 2,6   | 3,3    | 3,4   | 1,9       | 3,0   | 2,1               | 3,2   | 5,2    | 5,7   | 6,4    | 6,5   | 3,4       | 4,6   |

მერთიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ-ს/მ<sup>2</sup> თვეში

ცხრილი 6

| № | პუნქტების დასახელება | იანვარი |     |     |     |     | აპრილი |     |     |     |     | ივლისი |     |     |     |     | ოქტომბერი |    |     |     |     |
|---|----------------------|---------|-----|-----|-----|-----|--------|-----|-----|-----|-----|--------|-----|-----|-----|-----|-----------|----|-----|-----|-----|
|   |                      | ჩ       | ჩდ  | ა   | სა  | ს   | ჩ      | ჩდ  | ა   | სა  | ს   | ჩ      | ჩდ  | ა   | სა  | ს   | ჩ         | ჩდ | ა   | სა  | ს   |
| 1 | 2                    | 3       | 4   | 5   | 6   | 7   | 8      | 9   | 10  | 11  | 12  | 13     | 14  | 15  | 16  | 17  | 18        | 19 | 20  | 21  | 22  |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | 0       | 0,5 | 1,4 | 3,7 | 5,2 | 0,7    | 1,3 | 3,1 | 3,9 | 3,8 | 6      | 2,6 | 4,4 | 3,9 | 2,7 | 0         | 5  | 2,8 | 5,8 | 7,6 |

მერთიკალურ ზედაპირზე მზის ჯამური რადიაცია Q, კვტ-ს/მ<sup>2</sup> თვეში

ცხრილი 7

| № | პუნქტების დასახელება | იანვარი |    |    |    |    | აპრილი |    |    |    |    | ივლისი |    |     |     |    | ოქტომბერი |    |    |    |     |
|---|----------------------|---------|----|----|----|----|--------|----|----|----|----|--------|----|-----|-----|----|-----------|----|----|----|-----|
|   |                      | ჩ       | ჩდ | ა  | სა | ს  | ჩ      | ჩდ | ა  | სა | ს  | ჩ      | ჩდ | ა   | სა  | ს  | ჩ         | ჩდ | ა  | სა | ს   |
| 1 | 2                    | 3       | 4  | 5  | 6  | 7  | 8      | 9  | 10 | 11 | 12 | 13     | 14 | 15  | 16  | 17 | 18        | 19 | 20 | 21 | 22  |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | 23      | 23 | 37 | 70 | 90 | 52     | 66 | 86 | 99 | 97 | 64     | 85 | 103 | 101 | 90 | 31        | 38 | 61 | 97 | 104 |

**ჰაერის ტემპერატურის ანალიზი:**

ჰ ა ა მ რ ი ს ტ ე მ პ რ ა ტ უ რ ა



ცხრილი 11

| № | პუნქტების დასახელება | გარე ჰაერის ტემპერატურა, °C |           |       |        |       |        |        |         |            |           |          |           |              |                     |                      |  |                                 |                            |                                |                       |                     |                       |                            |                            |  |
|---|----------------------|-----------------------------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|--------------|---------------------|----------------------|--|---------------------------------|----------------------------|--------------------------------|-----------------------|---------------------|-----------------------|----------------------------|----------------------------|--|
|   |                      | თვის საშუალო                |           |       |        |       |        |        |         |            |           |          |           |              |                     |                      | პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპერატურა-ტურა 13 საათზე ტურით |                                 |                            |                                |                       |                     |                       |                            |                            |  |
|   |                      | იანვარი                     | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | წლის საშუალო | აბსოლუტური მინიმუმი | აბსოლუტური მაქსიმუმი | შეფარული ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი                        | შეფარული ცივი ხუროდღური საშუალო | შეფარული ცივი დღის საშუალო | შეფარული ცივი პერიოდის საშუალო | ბანერბლივი-ბა დღეებში | საშუალო ტემპერატურა | შეფარული თვის საშუალო | შეფარული ცივი დღის საშუალო | შეფარული ცივი თვის საშუალო |  |
| 1 | 2                    | 3                           | 4         | 5     | 6      | 7     | 8      | 9      | 10      | 11         | 12        | 13       | 14        | 15           | 16                  | 17                   | 18   | 19                              | 20                         | 21                             | 22                    | 23                  | 24                    | 25                         |                            |  |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | -6,2                        | -5,5      | -2,4  | 3,2    | 8,5   | 11,6   | 14,4   | 14,6    | 10,8       | 6,0       | 0,9      | -3,4      | 4,4          | -3,6                | 31                   | 20,6   | -1,5                            | -2,1                       | -6,2                           | 22,1                  | -0,7                | -1,9                  | 18,9                       |                            |  |

ჰ ა მ რ ი ს ტ ე მ პ რ ა ტ უ რ ა

ცხრილი 12

| № | პუნქტების დასახელება | თვის საშუალო, °C |           |       |        |       |        |        |         |            |           |          |           |         |           | თვის მაქსიმალური, °C |        |       |        |        |         |            |           |          |           |  |  |  |  |
|---|----------------------|------------------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|---------|-----------|----------------------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|--|--|--|--|
|   |                      | იანვარი          | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | მარტი                | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |  |  |  |  |
| 1 | 2                    | 3                | 4         | 5     | 6      | 7     | 8      | 9      | 10      | 11         | 12        | 13       | 14        | 15      | 16        | 17                   | 18     | 19    | 20     | 21     | 22      | 23         | 24        | 25       | 26        |  |  |  |  |
|   | ბაკურიანი, აგრო      | 11,7             | 12,0      | 12,4  | 12,2   | 11,7  | 11,8   | 11,0   | 11,6    | 13,0       | 12,5      | 11,0     | 10,7      | 22,0    | 23,5      | 23,8                 | 23,7   | 21,1  | 21,3   | 22,0   | 23,1    | 25,2       | 24,1      | 22,5     | 22,3      |  |  |  |  |



**პაერის ფარდობითი ტენიანობა**

ცხრილი 13

| № | პუნქტების დასახელება | გარე პაერის ფარდობითი ტენიანობა, % |           |       |        |       |        |        |         |            |           |          |           | საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე |                  | ფარდ. ტენიანობის საშ. დღეღამური ამპლიტუდა |                  |                      |
|---|----------------------|------------------------------------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|--------------------------------|------------------|---|------------------|----------------------|
|   |                      | იანვარი                            | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | წლის საშუალო                   | მედიანაზე ციფრით | მედიანაზე ცხელი თვის                      | მედიანაზე ციფრით | მედიანაზე ცხელი თვის |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | 75                                 | 76        | 76    | 74     | 76    | 77     | 78     | 76      | 80         | 80        | 78       | 76        | 77                             | 59               | 63  | 24               | 32                   |

**ნ ა ზ ე მ ე ბ ი ს რ ა ო ზ ე ნ ო ბ ა**

ცხრილი 15

| № | პუნქტების დასახელება | ნაღებების რაოდენობა წელიწადში, მმ | ნაღებების დღეღამური მაქსიმუმი, მმ |
|---|----------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
| 1 | 2                    | 3                                 | 4                                 |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | 935                               | 101                               |

**თოვლის დატვირთვა**

**თოვლის საზარი**

ცხრილი 17

| № | პუნქტების დასახელება | თოვლის საფარის წონა, კგ/მ <sup>2</sup> | თოვლის საფარის დღეღამური რიცხვი | თოვლის საფარის წინამძღვრობა, მმ |
|---|----------------------|--|---------------------------------|---------------------------------|
| 1 | 2                    | 3                                      | 4                               | 5                               |
| 1 | ბაკურიანი, აგრო      | 1,44                                   | 143                             | 168                             |


**ზოგადი კლიმატური მონაცემები**

- ბარომეტრული წნევა: 815 hPa
- საშუალო ტემპერატურა (იანვ.): -4 დან -14 °C მდე
- საშუალო ტემპერატურა (ივლ.): +12 დან +21°C მდე
- ფარდობითი ტენიანობა (%): 80% წლის საშუალო, საშუალო 76% (Dec) - 76% (Aug)
- გრუნტის გაყინვის სიღრმე: თიხოვანი და თიხნარი - 96 სმ, წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი - 115 სმ, მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის - 125 სმ, მსხვილნატეხი - 144 სმ.

## 6. ზოგადეკოლოგიური და სეისმური მონაცემები

- ამ ეტაპისთვის ზოგადეკოლოგიური მონაცემები არ არის.

სეისმური საშიშროების რუკა  
მაქსიმალური პორცენტული აჩქარება



## სეისმური მდგომარეობა

სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომდეგი მშენებლობა“ სეისმური საფრთხის რუკის თანახმად საპროექტო ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან (MSK 64 სკალა) ზონაში.

სეისმური საფრთხის ილუსტრაცია

## 7. არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები

- ამ ეტაპისთვის ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები არ არის.

## 8. არსებული ეკოლოგიური მონაცემები

- ამ ეტაპისთვის არსებული ეკოლოგიური მონაცემები არ არის.

## 9. კულტურული მემკვიდრეობა

- საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობა არ არსებობს.


## 10. ინფრასტრუქტურის ანალიზი

არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ანალიზი  
საპროექტო ტერიტორია სამხრეთ მხრიდან უკავშირდება ბაკურიანის წრიულ, მთავარ გზას.



### არსებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა

საპროექტო ტერიტორიას კვეთს ელ-მომარაგების ქსელი. საპროექტი არეალის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთით ფიქსირდება გაზომომარაგება .ამ ეტაპზე დამატებითი ინფორმაცია არ მოიძებნა.



## 11. საკუთრების ანალიზი

ჩარჩო გეგმის არეალში მოქცეული ნაკვეთების უმეტესობა კერძო საკუთრებაშია (ფიზიკური პირი), ერთი ნაკვეთი სახელმწიფოა და ერთიც კერძო საკუთრებაშია (იურიდიული პირი).

## 12. დოკუმენტური კვლევა

### ტერიტორია #17

საპროექტო ტერიტორიის დაახლოებითი ფართობი: 67 337 კვ/მ

სამშენებლო მიწის ნაკვეთების ფართობი: 57 407 კვ/მ

დადგენილი ფუნქციური ზონა: სრზ-1

დადგენილი კოეფიციენტები: კ1=0.2, კ2=0.2, კ3=0.5

#### კონკრეტული მოთხოვნები:

1. დაუშვებელია არსებული სამშენებლო მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობის მატება.
2. გასათვალისწინებელია ყველა მიწის ნაკვეთის უზრუნველყოფა სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით.
3. სასურველია ცენტრალურ ნაწილში გაჩნდეს სათხილამურო ტრასა და საჩოჩილო საბაგირო ხაზი.
4. სათხილამურო ტრასის არსებობის შემთხვევაში საავტომობილო გზამ არ უნდა გადაკვეთოს სათხილამურო ტრასა.
5. სათხილამურო ტრასის არარსებობის შემთხვევაში, საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 3% კონცენტრირებულად, გამოყენებულ იქნას უბნის შიდა რეკრეაციულ ზონად. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდეს: სპორტული მოედანი, საბავშვო ზონა და სხვა ტიპის საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცე.

#### კ2 კოეფიციენტის დაანგარიშების პრინციპი

1. ტერიტორიაზე ჯამური კ2 საანგარიშო ფართობი შეადგენს 11 481 კვ/მ-ს, რომელიც გადანაწილებული უნდა იქნას პროპორციულად, ფაქტობრივი მდგომარეობით მიწის ნაკვეთების ფართობის შესაბამისად.
2. გრგ-ს ან/და თემატური რუკის დამუშავების დროს, მიწის ნაკვეთების ფართობის შემცირების შემთხვევაში, ხდება კ2 საანგარიშო ფართობის შენარჩუნება, მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი ფართობის შესაბამისად.

\*განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ "განაშენიანების რეგულირების წესების" IV თავის, 14 მუხლის შესაბამისად

**სამართლებრივი აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მონაცემები**

| კლასიფიკაცია                      | შინაარსი  | რეესტრი                    | წყარო  |
|-----------------------------------|---|----------------------------|--|
| ორგანული კანონი                   | ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი  | №1958-III ,<br>05.02.2014წ | <a href="#">საკანონმდებლო მაცნე</a>              |
| კანონი                            | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი  | №2181-III<br>25.06.1999    | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ                             | №1506-III,<br>24.06.2005წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | კულტურული მემკვიდრეობის შესახებ   | №4708-III,<br>08.05.2007წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | გარემოს დაცვის შესახებ  | №519-III,<br>10.12.1996    | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | საავტომობილო გზების შესახებ   | №585,<br>11.11.1994წ       | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | საგზაო მოძრაობის შესახებ  | №1830-III,<br>24.12.2013წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ                               | №165<br>30.04.1996         | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ   | №1345-III,<br>28.04.1998წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                                   | აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ          | №2349,<br>11.08.1999წ      | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
| პარლამენტის დადგენილება           | მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ | №2205-III,<br>04.04.2014წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
| საქართველოს მთავრობის დადგენილება | ბაკურიანის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე                          | №117<br>06.03.2018წ        | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
| პრეზიდენტის ბრძანებულება          | საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ                        | №206,<br>30.04.1999წ       | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |

|                       |  |                      |  |
|-----------------------|--|----------------------|--|
| მთავრობის დადგენილება | განაშენიანების ძირითადი დებულებები   | №59,<br>15.01.2014წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                       | კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესები   | №181,<br>14.05.2012წ | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                       | ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები   | №366,<br>24.12.2013წ | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                       | მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონები | №365,<br>24.12.2013წ | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                       | მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ   | №57,<br>24.03.2009წ  | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |
|                       | საქართველოს მთავრობის დადგენილება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ   | №105,<br>12.03.2015წ | <a href="http://matsne.gov.ge">matsne.gov.ge</a> |

### 13. პროექტის განვითარების ხედვა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება

აღნიშნული მდგომარეობიდან კვლევის არეალში მოქცეული ტერიტორიების განვითარების სამომავლო ხედვა შემდეგნაირია:

ჩარჩო გეგმის ფარგლებში რელიეფის და ტერიტორიაზე არსებული რეკრეაციის გათვალისწინებით და დაცვით ხდება ახალი საგზაო სისტემის შემუშავება და დარჩენილი ტერიტორიის თავიდან დაგეგმარება, საპროექტო სექტორებად დაყოფა და რეკრეაციული ზონების გაჩენა. (იხ. „საპროექტო ჩარჩო გეგმა“ ფაილი)  
რეკრეაციული ზონების საერთო ფართობი მთელი საპროექტო არეალის 15%-ს წარმოადგენს. ტერიტორიის საერთო ფართობი 67 643 კვ.მ.ია.  
საპროექტო კოეფიციენტები: კ1-0.2; კ2-0.2; კ3-0.5

ბაკურიანის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის საფუძველზე დაყრდნობით, სადაც მოცემულია ტერიტორიების თემატური რუკების განვითარების წინაპირობა , საპროექტი არეალში ჯამური კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 11481 კვ.მ-ს, რაც მთელი სამშენებლო მიწის ნაკვეთების 24 % შეადგენს. შესაბამისად კ2 კოეფიციენტი 0.24 -ს არ უნდა აღემატებოდეს.



| საპროექტო ბლოკი | საპროექტო ფართობი კვ.მ | პროექტის ტიპი | კვ.მ  | კვ.მ | პროექტის ტიპი | კვ.მ  | კვ.მ | საპროექტო მანძილი |
|-----------------|------------------------|---------------|-------|------|---------------|-------|------|-------------------|
| 1               | 2242                   | არსებული      | 430   | 0,2  | არსებული      | 540   | 0,24 |                   |
| 2               | 2097                   | არსებული      | 189   | 0,3  | არსებული      | 180   | 0,1  | 1 სართული         |
|                 |                        | ს.სპი         | 600   | 0,3  | ს.სპი         | 600   | 0,3  |                   |
| 3               | 1811                   |               | 500   | 0,2  |               | 435   | 0,24 |                   |
| 4               | 2771                   |               | 555   | 0,2  |               | 465   | 0,24 |                   |
| 5               | 2989                   | არსებული      | 191   | 0,3  | არსებული      | 250   | 0,1  | 1 სართული         |
|                 |                        | ს.სპი         | 540   | 0,2  | ს.სპი         | 480   | 0,24 |                   |
| 6               | 5980                   | არსებული      | 1100  | 0,2  | არსებული      | 1435  | 0,24 |                   |
|                 |                        | ს.სპი         | 1770  | 0,2  | ს.სპი         | 2120  | 0,24 |                   |
| 7               | 4842                   |               | 940   | 0,2  |               | 1125  | 0,24 |                   |
| 8               | 4650                   |               | 135   | 0,2  |               | 430   | 0,24 |                   |
| 9               | 1785                   |               | 1093  | 0,2  |               | 2624  | 0,24 |                   |
| 10              | 6299                   |               | 560   | 0,2  |               | 312   | 0,24 |                   |
| 11              | 4991                   | არსებული      | 125   | 0,2  | არსებული      | 180   | 0,45 | 2 სართული         |
|                 |                        | ს.სპი         | 118   | 0,2  | ს.სპი         | 300   | 0,24 |                   |
| 12              | 4991                   | არსებული      | 643   | 0,4  | არსებული      | 3950  | 0,7  |                   |
|                 |                        | ს.სპი         | 895   | 0,60 | ს.სპი         | 1175  | 0,63 |                   |
| ჯამი            | 40918                  | არსებული      | 10068 | 0,2  | არსებული      | 12441 | 0,27 |                   |

საკონსტრუქციო არეალის ფართობი: 67 533 კვ.მ  
 არეალის 15% რეკრეაციული ზონაა.

**ბარბერენი №17**  
 საპროექტო ბარბერენის უბანის ფართობი: 67 533 კვ.მ  
 საპროექტო ბინის ნაპირების ფართობი: 57 407 კვ.მ  
 უბანის ფართობი: 67 533 კვ.მ  
 უბანის რეკრეაციული ზონის სიდიდე: 10 126 კვ.მ  
 უბანის რეკრეაციული ზონის პროცენტი: 15%  
 უბანის რეკრეაციული ზონის სიდიდე: 10 126 კვ.მ  
 უბანის რეკრეაციული ზონის პროცენტი: 15%

**პროექტის მიზანშეწონი**  
 1. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 2. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 3. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 4. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 5. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.

**პროექტის მიზანშეწონი**  
 1. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 2. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 3. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 4. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 5. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.




**პროექტის მიზანშეწონი**  
 1. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 2. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 3. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 4. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 5. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.

**პროექტის მიზანშეწონი**  
 1. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 2. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 3. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 4. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 5. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.

**პროექტის მიზანშეწონი**  
 1. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 2. უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 3. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 4. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.  
 5. საპროექტო უბანის რეკრეაციული ზონის რეკონსტრუქცია და განვითარება.

2018 წ.

# ფიზიკური გარემოს ავტოპორტრეტი




# მარჩო გეგმის წინასწაროქტო ხედვა და ხვლევა გრაფიკული ნაწილი

## რუხაბის ჩამონათვალნი

### ფიზიკური გარემოს ხვლევა

1. სიტუაციური
2. სიტუაციური 1:5000 მ.
3. არსებული სიტუაციის ფოტოები
4. არსებული სიტუაციის ფოტოები
5. არსებული შენობა-ნაგებობები
6. არსებული შენობა-ნაგებობები
7. არსებული ზონირება
8. არსებული გზები
9. არსებული სახუთრების ტიპები
10. ხაზოვანი ნაგებობები
11. ტოპოგრაფია
12. ზოგადი დახრილობის ანალიზი
